პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 77 (6143) 19

ხუთშაბათი, ოთხშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს კონსტიტუცია ხალხის ქმნილებაა, ამ მილიონი კაცი მონაწილეობდა მის განხილვაში. ამ ათასზე მეტი წინადადება და შესწორება შეიტანეს საკონსტიტუციო კომისიაში. ეს იყო ჭეშმარიტი ზეიმი დემოკრატიისა, ეს იყო ჭეშმარიტი ზეიმი ინტერნაციონალიზმისა, რომელსაც პარტიის, სახელმწიფოს, ხალხის დიდი ჰქვია“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიაზე დეპუტატ ე. ა. შევარდნაძის საბოლოო სიტყვიდან.

ახალ-ახალ გამარჯვებათა მოლოდინში

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა დღევანდელ საწვრთნელ ბაზაზე იმ დღეს დილიდანვე განსაკუთრებული მოვლენის მოლოდინში იყვნენ ყველანი — ფეხბურთელები, მწვრთნელები, მომსახურე პერსონალი. სწორედ ტამბერში საბჭოთა კავშირის თასის ფინალურ მატჩებში განმეორებით მატჩზე გამგზავრების წინ, 14 აპრილს უნდა გამართულიყო დინამოელთა შეკრება, რომელიც საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის მიღებას ეძღვნებოდა...

კრება გახსნა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ფ. ბერტენევამ. მან განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელმა კომისიამ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხ გამოყოფით ხაზი გაუსვა იმ დიდ მნიშვნელობას და სოციალურ სიკეთეს, რაც ფიზკულტურასა და სპორტს მოაქვს ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა დარგში. ამასთან დაკავშირებით მეტად იზრდება ყოველი სპორტსმენის, ფიზკულტურისა და სპორტის - ყველა მუშაკის და, განსაკუთრებით, მწვრთნელთა პასუხისმგებლობა. მწვრთნელებს ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლიათ ჩვენი სპორტული მოძრაობის გავითარების, მონოლითური და გრძელისუნარიანი სპორტული კოლექტივების ჩამოყალიბების საქმეში. განსაკუთრებით სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის სათავეში მდგომი ალმაზრდელები ხელიხელჩაკიდებული მუშაობენ იმ დიდი და საპატიო მოცანის გადაჭრისათვის, რომელიც ჩვენს გუნდს აქვს დასახული წლევანდელ საფეხბურთო სეზონში.

„დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივის უფროსმა მწვრთნელმა ნ. ახალაცამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს გუნდის ყველა წევრს, რადგან დიდი უფლებები ასევე გაზრდილ მოვალეობებსაც გულისხმობს. მან განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით აღნიშნა ის დიდი ყურადღება და დახმარება, რომელსაც კოლექტივი დღენიადაგ გრძნობს წელმძღვანელი პარტიული ორგანოების, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს სპორტკომიტეტის მხრიდან.

სიტყვებში გამოსულმა თბილისის „დინამოს“ გუნდის კაპიტანმა მ. მაჩაიძემ, აგრეთვე, დ. ყიფიანმა, ვ. ქორიძემ, ო. გაბელიამ და სხვებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს და ივალდებულეს, რომ ყველა მატჩს, ყველა ორთაბრძოლას ჩაატარებენ მაღალი სპორტული შემართებით; ცოდნას, გამოცდილებას და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა მაყურებელს უჩვენონ ნამდვილი ფეხბურთი, კიდევ უფრო ამრავლონ სახელოვანი კოლექტივის კარგი ტრადიციები, საბჭოთა სპორტის წარმატებანი.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად, მთლიანად და სავსებით მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ“, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინ იქვე მოისმინეს ტელევიზიით.

...მეორე დღეს დინამოელები უკვე ტაშკენტში იყვნენ. „ფახთაქორის“ წინააღმდეგ მატჩისთვის ემზადებოდნენ...

პირველი სტარტი გვაფრთხილებს

მუდ კომპლექსის მრავალჭიდში შეჯიბრება წლეულს საქართველოს სპორტსმენთა პირველი რესპუბლიკური ასპარეზობა გახლდათ. სტარტზე რამდენიმე ისეთი ნიშნოსანიც გამოვიდა, რომლებმაც შარშან ოქტომბრის დამლევს თბილისში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ჩვენი ნაკრების წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

ტურნირი სამ დღეს გაგრძელდა და იგრძნობოდა, რომ ბევრ მონაწილეს განვლილი ხუთი თვე აშკარად ინერტულად გაუტარებია — უძლიერესებმაც კი ვერ შეძლეს უწინდელი შედეგის გამეორება.

მეოთხე საფეხურის პროგრამის მიხედვით პირველ ასაკობრივ ჯგუფში ქალთა შორის კლარა გუნბამ („განთიადი“) ძირითადად ცურვისა (ეს მისი საყვარელი სახეობაა) და მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლის ხარჯზე შეძლო დაწინაურება, თუმცა მას მ. ელიჯანოვას („ბურევესტნიკი“) სახით საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა.

ამ ასაკობრივ ჯგუფში ვაჟთა შორის საქართველოს ნაკრების წევრების ე. გორგოძისა („კოლმეურნე“) და მ. ქათამაძის („განთიადი“) დუელი გორგოძის აპკარა

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ემზადებიან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის

ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეები გაცხოველებით ემზადებიან XV საკავშირო სპარტაკიადისთვის. ეს სამზადისი ეტაპობრივი ხასიათისაა: ჯერ საქალაქო და რაიონულ შეჯიბრებებში შემოწმდება მოსწავლეთა ფიზიკური მომზადებისა და სპორტული ტექნიკის სრულყოფის დონე, რესპუბლიკური სპარტაკიადა კი საბოლოოდ შეარჩევს ტაშკენტში წასვლის კანდიდატებს.

● **გორი.** სპორტსკოლის დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა მოსწავლეთა ზონალური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში, რომელშიც რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების 45 გუნდი მონაწილეობდა, I ადგილი გორელმა ფალავნებმა მოიპოვეს, II-III ადგილები კი შესაბამისად ყვარელ და ბოლნელ მოჭიდავეებს ერგოთ.

ი. თევდორაშვილი.

● **ჰიათურა.** „მაღაროელის“ სპორტდარბაზში ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა XXX საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური პირველობა კალათბურთში მეორე ჯგუფის გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მახარაძის, საჩხერის, წყალტუბოსა და ჰიათურის კოლექტივები.

როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა შორის I ადგილი მოიპოვეს და ასპარეზობის შემდეგ ეტაპზე გავიდნენ ჰიათურელი კალათბურთელები (მწვრთნელები: რ. ჩხეიძე და ტ. დეკანოიძე).

გ. ბარჯაძე.
(ჩვენი კორ.).

* * *

მოსწავლეთა პირადი პირველობა მაგიდის ჩოგბურთში გოგონათა შორის მოიგო მ. დარბაიძემ, ვაჟებში — გ. ლეჟავამ (ორივე — რუსული საშუალო სკოლა).

დაკომპლექტდა ქალაქის მოსწავლეთა ნაკრები, რომელიც მაგიდის ჩოგბურთელთა რესპუბლიკურ ზონალურ შეჯიბრებაში იასპარეზებს.

რ. თუარმანდოვი.

● **ახმეტა.** დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, სადაც ჭაბუკთა 9 ნაკრები გუნდი მონაწილეობდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით რაიონის ჩემპიონები გახდნენ: ი. ჭიკილაშვილი, მ. ზვიადაური, თ. შეთეკაური, შ. ჩეკურიშვილი, ლ. პატარაშვილი, გ. ზაქაიძე, ზ. ქისტაშვილი, ბ. იჩოშვილი, გ. როსებიშვილი, ა. ქავთარაშვილი, ზ. ჩეკურიშვილი. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ახმეტის მე-2 საშუალო -სკოლის მოჭიდავეებმა. II ადგილი დუისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს, III — ახმეტის 1-ლი საშუალო სკოლის მოჭიდავეებმა.

თ. ხინკლაშვილი.

* * *

რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრება კალათბურთში, მოიგო სკოლა-ინტერნატის გუნდმა. ქისტაურის საშუალო სკოლისა და ახმეტის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდები შესაბამისად II და III ადგილებზე გავიდნენ.

* * *

ჩატარდა შეჯიბრება ჭადრაკში. კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა ახმეტის სკოლა-ინტერნატმა და I ადგილიც მას ერგო. II ადგილზე გავიდნენ ოქიოს საშუალო სკოლის, ხოლო მესამეზე — მატნის მე-2 საშუალო სკოლის მოჭადრაკეები.

ო. სულაშვილი.





სურათებზე: 100 მეტრზე რბენაში შეჯიბრების ერთი მომენტი; ცურვის სტარტზე არიან მეოთხე საფეხურის მეორე ასაკობრივი ჯგუფის მრავალჭიდელი ქალები.

ჭადრაკი

ლიდერმა წააგო

ლვოვში, ვაჟთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში გუშინწინ IX ტურის შესვედრები გაიმართა.

პირველად დამარცხდა ერთპიროვნული ლიდერი ი. ბალაშოვი (მოსკოვი). მას ა. კოჩიევმა (ლენინგრადი) მოუგო.

ბალაშოვს დაეწია ოდესელი დიდოსტატი ვ. ტუკმაკოვი, რომელიც დაუშავდა სსრ კავშირის ჩემპიონ ი. დორფმანს (ლვოვი). 9 ტურის შემდეგ ბალაშოვსა და ტუკმაკოვს 5,5-5,5 ქულა აქვთ.

ამ დღეს დამთავრდა კიდევ ერთი შეხვედრა: ვ. სავონი (ხარკოვი) და გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) ყაიმზე შეთანხმდნენ.

მხოლოდ ორი ყაიმი

გუშინწინ საქართველოს ვაჟთა 39-ე ჩემპიონატში VII ტური შედგა, მაშინ, როცა თითქმის ყველა დაფაზე სადებიუტო ბრძოლა მიმდინარეობდა, ნ. ტერაშვილმა (რუსთავი) და გ. ციხელაშვილმა ელვისებური თამაში გააჩაღეს და 55-ე სვლაზე შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს. დაძაბული თამაშის შემდეგ დაზავდნენ გ. მაჭარაშვილი — დ. გედევანიშვილი. ეს იყო გედევანიშვილის პირველი ყაიმი ამ ტურნირში ზედიზედ 6 მოგების შემდეგ.

ნ. იოსელიანმა დაამარცხა რ. კაპანაძე.

წარმატებით იბრძოლეს ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებმა: საქართველოს ჩემპიონმა ზ. სტურუამ მოუგო დ. ჩაჩიბაიას, ე. უბილავამ — ლ. ნეუოინოვს (ბათუმი), გ. ზაიჩიკმა — რ. დადიანს. ი. ჩიქოვანმა გადადო პარტია მოსწავლე ი. კუზმინთან. პარტია ეტლვების მწვავე ენდშპილში შეწყდა.

პირველი გამარჯვება იზეიმა ი. ცქიტიშვილმა, რომელმაც რ. ლომიძეს (გარდაბანი) მოუგო. მ. არჩვაძემ (სამტრედია) სძლია ა. შახტახტინსკის (სოხუმი).

7 ტურის შემდეგ ჩემპიონატს ლიდერობენ ზ. სტურუა, გ. ზაიჩიკი და დ. გედევანიშვილი (6,5-6,5 ქულა). შემდეგ მოდიან ე. უბილავა (5,5), ი. ჩიქოვანი (5 ქულა და ერთი გადადებული პარტია), ნანა იოსელიანი, მ. არჩვაძე (4-4).

რ. თავარიანი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

(დასასრული)

პირველი სტარტი გვაფრთხილებს

უპირატესობით მიმდინარეობდა. ქათამაძემ კინღლამ II ადგილიც დაკარგა ი. პისკულოვთან („ბურევესტნიკი“).

საფეხურების მიხედვით, ყველა ასაკობრივ ჯგუფში 21 პრიზიორიდან 100-ქულიან ზღვარს მხოლოდ ცხრა შეწვდა, მათგან სამი იმ ჯგუფზე მოდის, რომელშიც კლარა გუნბა გამოდიოდა.

შედეგები, რა თქმა უნდა, მოსალოდნელზე დაბალია. შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში მოპოვებული პოზიციების განმტკიცებისთვის ბრძოლა უფრო მეტ შრომას, ინტენსიურ ვარჯიშს, ახალი ნიჭიერი მრავალჭიდელების ძიებას მოითხოვს.

საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადის პროგრამით ჩატარებულმა ამ შეჯიბრებამ მიზანი გაამართლა — კარგად შეამოწმა როგორ მუშაობენ სპორტსაზოგადოებებში, ვინ როგორ მოეკიდა საპასუხისმგებლო ტურნირს.

სამწუხაროდ, „ვოდნიკისა“ და „შრომითი რეზერვების“ საქმიანობა ამ მიმართებით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ვერც „ლოკომოტივისა“ და „კოლმეურნის“ გუნდებმა გამოაჟღინეს ყველა შესაძლებლობა.

მივმართოთ ფაქტებს. ყოველ გუნდს III-V საფეხურების პროგრამით სასპარეზოდ 7-7 მონაწილე უნდა გამოეყვანა. ეს ძალიან ცოტაა და მაინც, „შრომითი რეზერვებისა“ და „ვოდნიკის“ საბჭოებმა კოლექტივების სრულად დაკომპლექტება ვერ შეძლეს, ფინიშამდე კი მათი (შესაბამისად) 3 და 4 სპორტსმენი მივიდა.

იყო სხვა ფაქტებიც, რომლებიც გუნდების წევრთა შერჩევაში დაშვებულ შეცდომებს ადასტურებენ. ზოგიერთმა სპორტსაზოგადოებამ განაცხადში შეიყვანა ისეთი მრავალჭიდელები, რომლებმაც საკუთარი კოლექტივის ღირსება არად ჩააგდეს: ან სტარტზე არ გამოცხადდნენ, ან შეჯიბრება თვითნებურად მიატოვეს. ასე მოიქცნენ „კოლმეურნის“ გუნდის წევრები ა. კულიევი და ვ. სევასტიანოვი, „შრომითი რეზერვების“ მრავალჭიდელი რ. გოხალოვი, მ. გეგეჭკორი („ბურევესტნიკი“). ტურნირისთვის, რომელშიც 50 ნიშნოსანი მონაწილეობდა, ამდენი დარდეევა მეტისმეტია.

ძალებიც აშკარად უთანასწორო გამოდგა. „კოლმეურნემ“ ხუთი მონაწილით უფრო მეტი (473) ქულა მოაგროვა, ვიდრე რკინიგზელთა ექვსკაციანმა ნაკრებმა, ხოლო „განთიადმა“ 95 ქულით ჩამოიტოვა „ბურევესტნიკი“.

ამ მრავალჭიდელებს წლეულს საკავშირო სტარტებამდე კიდევ არაერთ საშინაო ტურნირში მოუწევთ ძალების გამოცდა — წინ არის ადგილობრივი შეჯიბრებები, თბილისის ჩემპიონატი, საუწყებო რესპუბლიკური პირველობა, საქართველოს ჩემპიონატი. ვისაც ოქტომბრის დამლევს ერევნის საკავშირო პირველობაში ასპარეზობა სურს, არც ერთი დღე უქმად არ უნდა დაკარგოს, ამას რესპუბლიკის სპორტული ინტერესებიც მოითხოვს. ამიტომ სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა, ფიზკულტურულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქედანვე ფართოდ უნდა გაშალონ მშდ კომპლექსის პროპაგანდა, უძლიერესთა შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ.

ტექნიკური შედეგები. მესამე საფეხური. ქალები. კ. გუნბა („განთიადი“) — 105 ქულა, ლ. სანკაპოვა („კოლმეურნე“) — 97, ტ. ნადეჟდეევა („შრომითი რეზერვები“) — 59; **ვაჟები.** გ. ხოშტარია („ბურევესტნიკი“) — 106, ი. ოვჩარიკი („ბურევესტნიკი“) — 89, [illegible] („შრომითი რეზერვები“) — 84. **მეოთხე საფეხური. I ასაკობრივი ჯგუფი. ქალები.** გუნბა („განთიადი“) — 124, მ. ელიჯანოვა („ბურევესტნიკი“) — 115, ი. ამოსოვა („კოლმეურნე“) 101; **ვაჟები.** ე. გორგოძე („კოლმეურნე“) — 113, მ. ქათამაძე („განთიადი“) — 91, ი. პისკულოვი („ბურევესტნიკი“) — 89. **II ასაკობრივი ჯგუფი. ქალები.** ლ. შუმილინა („კოლმეურნე“) — 104, თ. მალიგანიკი („სპარტაკი“) — 82, ჯ. ჩუბინიძე („ბურევესტნიკი“) — 78. **ვაჟები.** ვ. გავრინი („ბურევესტნიკი“) — 102, ვ. სუბინენკო („განთიადი“) — 100, ა. მეტრეველი („სპარტაკი“) — 86. **მეხუთე საფეხური. ვაჟები.** გ. ძოწენიძე („განთიადი“) — 82, დ. გაბუნია („სპარტაკი“) — 76, გ. გრიცკოვი („ვოდნიკი“) — 62.

ო. ბელაშვილი.

* * *

სურათზე: გ. ძოწენიძე ხელუუმბარის ტყორცნაში შეჯიბრების დროს.

ავტორის ფოტო.

ფოთი ნიჩბოსანთა ასპარეზობის ნამდვილ ცენტრად გადაიქცა, — სტარტი სტარტს მისდევდა, სახეობა სახეობას ცვლიდა. ამ დღეებში აქ ბაიდარებითა და კანოეებით რესპუბლიკური საგაზაფხულო ასპარეზობა ჩატარდა და ისიც კაპარჭინაზე.

ტურნირის პროგრამაში პირველად შევიდა შვიდადგილიანი კანოეებით რბოლა. სამწუხაროდ, ამ კლასში სტარტზე სულ ოთხი ეკიპაჟი გამოვიდა, ვინაიდან საქართველოში მხოლოდ 4 ნავია (2 — მცხეთაში, თითოც — ქუთაისსა და ფოთში). არადა, შვიდადგილიანებით რბოლა საკავშირო ტურნირების პროგრამაშიც დამკვიდრდა.

შეჯიბრება მიზნად ისახავდა ადგილებზე ზამთარში ჩატარებული მუშაობის შემოწმებას. დასანანია, რომ ეს არ მოხერხდა, ვინაიდან ფოთში იმ დღეებში გადაუღებლად წვიმდა, პირქარი ქროდა, რის გამოც ნიჩბოსნებმა შესაძლებლობანი მთლიანად ვერ გამოავლინეს. ვფიქრობთ, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ მხოლოდ ნაკრების კანდიდატებს ჰქონდათ შედარებით დამაკმაყოფილებელი შედეგები. ისინი ამ რესპუბლიკური ასპარეზობის წინ თავიანთ ქალაქებს დაუბრუნდნენ და ფოთში თანაგუნდელებთან ერთად ჩამოვიდნენ.

გუნდი, რომელიც რომელიმე კლასში ეკიპაჟს ვერ გამოიყვანდა, 5 ქულით ჯარიმდებოდა. იქნებ ამის გამოც იყო, რომ ზოგიერთმა სპორტკომიტეტმა ფოთში ბევრი აშკარად მოუმზადებელი ნიჩბოსანი გამოგზავნა, რის შედეგადაც ხშირად ლიდერსა და აუტსაიდერს შორის სხვაობა ერთობ თვალსაჩინო იყო.

მაგალითად ვაჟთა შორის ორადგილიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე რბოლის ფინალში სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა 20 წლის ა. გეკელმა და 21 წლის შ. მუსოიანმა (მცხეთა) ფინიშამდე მისვლას 3 წუთი და 37,8 წამი მოანდომეს, ბოლო ადგილზე გასულმა აჭარის გუნდმა კი ამისთვის 5 წუთი და 19 წამი დახარჯა. კანოისტთა 4×500 მეტრზე ესტაფეტაში აჭარის კვარტეტმა (მ. კლეიმანი, კ. სტავრიანიდი, რ. ეზიაშვილი, ვ. ანთაძე) 9.46,2 აჩვენა და მესამე ადგილზე გასულ თბილისის ნავის ეკიპაჟს 29,6 წამით აჯობა, ქუთაისის ნიჩბოსნებს კი ფინიშზე 3 წუთითა და 7 წამით (?!) მიასწრო.

აჭარის გუნდი 4×500 მეტრზე ქალთა ესტაფეტაშიც კარგად გამოვიდა (10.32,8): ნ. ვოლეშნაია, ე. სმილოვა, ტ. კუსაკინა და ო. სიბირკო, ისე კარგად, ისე შეთანხმებით მოქმედებდნენ, რომ რუსთავის ნავს 44 წამით გასწრეს, მასპინძლებს წუთი და 26 წამი მოუგეს, მცხეთელებს კი თითქმის წუთნახევრით აჯობეს.

ფოთში საასპარეზოდ სრული გუნდებით გამოცხადდნენ აჭარა, თბილისი, რუსთავი და მცხეთა. აფხაზეთმა და ქუთაისმა 19-ის მაგიერ 13-კაციანი კოლექტივები გამოგზავნეს, მასპინძლებმა კი ერთი კაცით მეტი გამოიყვანეს. ცხადია, მათ სტარტამდე „გარანტირებული“ ჰქონდათ საჯარიმო ქულების საკმაო მარაგი.

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის

გამოცდა ქარსა და წვიმაში



პირდაპირ საოცარია, რომ აფხაზეთისა და ფოთის სპორტსმენებს აჯობეს რუსთაველებმა, რომლებსაც ლურჯ ბილიკებზე ვარჯიშის გაცილებით ნაკლები შესაძლებლობა აქვთ. ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის ნაკრებმა (59 ქულა), მცხეთისა (44) და აჭარის (36) ნიჩბოსნებსაც აჯობა და საერთო გამარჯვება ზზეიმა.

ძალზე საწყენია, რომ ფოთში, სადაც ადრე რესპუბლიკის ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე საიმედო რეზერვი იზრდებოდა, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის განვითარებისთვის ნაკლებად ზრუნავენ. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ქალაქში ყოველწლიურად თავს იკრიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნიჩბოსნები, მათგან კი ბევრის სწავლა შეიძლებოდა. ფოთელი სპეციალისტები (მათ შორის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შ. ჭედიაც) სამეურნეო სამუშაოზე გადავიდნენ, ამიტომაც „ვეღარ იცლიან“, რომ ადგილობრივი გოგო-ბიჭები ჯგუფებში სავარჯიშოდ მიიზიდონ.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აფხაზეთში, ქუთაისსა და თბილისში სპორტის ამ სახეობისადმი ზრუნვა. ქუთაისელებმა და აფხაზეთის გუნდებმა ზოგიერთ სახეობაში იმდენი საჯარიმო ქულა მიიღეს, რომ სხვა ეკიპაჟების მიერ მოპოვებულმა დადებითმა ქულებმა მდგომარეობის გამოსწორება ვერ შეძლო, ამიტომაც ქუთაისის ნაკრები შინ მინუს 2 ქულით დაბრუნდა, აფხაზეთისა კი — მინუს 20 ქულით (?!).

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მოსამზადებლად ნიჩბოსნებს ერთი წელი დარჩათ. გაისად ამ დროს საქართველოს გუნდი უკვე დაკომპლექტებული უნდა იყოს და გადამწყვეტი სტარტებისთვის ემზადებოდეს. თუ ფოთში გამართული შეჯიბრების შედეგებით ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, რომ ყველგან — აფხაზეთში, აჭარაში, თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, მცხეთაში (შევსებას მათგან ველით) მწვრთნელებმა თავდაუზოგავად უნდა იმუშაონ. ამას მათ საქართველოს სპარტაკიადაში გამარჯვებისთვის ბრძოლაც ავალებთ.

რესპუბლიკაში მოსაგვარებელია გუნდების ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხი. თითქმის არც ერთ კოლექტივს (თბილისის გარდა) ნავების შემკეთებელი სპეციალისტი არ ჰყავს, არ არის სათადარიგო ნაწილები, რის გამო ზოგჯერ მცირედ დაზიანებული ახალი ინვენტარი უქმად დგას.

ტექნიკური შედეგები. ქალები. 500 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი. ლ. იზმაილოვა (ფოთი) — 2.08,8, ნ. ვოლეშნაია (აჭარა) — 2.09,8, ი. სერედა (რუსთავი) — 2.12,2; **ორადგილიანი.** ლ. და ტ. იზმაილოვები (ფოთი) — 2.06,0, ო. სიბირკო — ტ. კუსაკინა (აჭარა) — 2.10,0, ი. ავსეევა — ლ. გელაშვილი (თბილისი) — 2.19,5; **ოთხადგილიანი.** აჭარა (ვოლეშნაია, სიბირკო, კუსაკინა, ე. სმილოვა) — 1.53,0, რუსთავი — 2.04,0, მცხეთა — 2.09,0.

ვაჟები. 1000 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი. ნ. ხმელიოვსკი (თბილისი) — 3.59,8, ა. სკოტარენკო (რუსთავი) — 5.01,4, თ. კიკნაძე (მცხეთა) — 4.03,0; **ორადგილიანი.** ა. გეკელი — შ. მუსოიანი (მცხეთა) — 3.37,8, ი. კარაბეინიკოვი — თ. ჯიჯოევი (თბილისი) — 3.48,8, ა. სტრენგინი — ა. ზახარჩენკო (ფოთი) — 3.51,2; **ოთხადგილიანი.** მცხეთა (გეკელი, მუსოიანი, ვ. სოსელია, გ. ბეხი) — 3.20,8, ფოთი — 3.29,0, თბილისი — 3.30,5; **ესტაფეტა 4× 500 მ.** მცხეთა (გეკელი, მუსოიანი, კიკნაძე, ბეხი) — 8.45,0, რუსთავი — 8.57,0, თბილისი — 9.17,4; **10000 მ. ერთადგილიანი.** სკოტარენკო — 51.10,0, ხმელიოვსკი — 52.08,0, ვ. მიქავა (აფხაზეთი) — 52.39,0; **ორადგილიანი.** სოსელია — ბეხი — 47.05,0, სიბირკო — ვ. ტილოხინი (აჭარა) — 50.15,0, ნ. სამკო — ე. სარქისიანი (თბილისი) — 51.40,0.

კანოე. 500 მ. შვიდადგილიანი. რუსთავი (ა. დოროშენკო, შ. კურტანიძე, ს. რეპუხოვი, ვ. ნიკოლაევი, ჯ. ქუსიკაშვილი, ი. ღუდუშაური, ი. ცხოვრებაძე) — 1.40,0, მცხეთა — 1.45,0, ფოთი — 1.49,5; **1000 მ. ერთადგილიანი.** ა. დათიაშვილი (ქუთაისი) — 4.28,8, ვ. ჩაპლიგინი (თბილისი) — 4.31,0, მ. კლეიმანი (აჭარა) — 4.33,6; **ორადგილიანი.** დოროშენკო — კურტანიძე — 4.03,0, ზ. ხიზანიშვილი — ჯ. აგახანოვი (მცხეთა) — 4.12,0, კ. სტავრიანიდი — რ. ეზიაშვილი (აჭარა) — 4.16,0; **10000 მ. ერთადგილიანი.** ჩაპლიგინი — 58.22,0, კლეიმანი — 59.18,0, ი. ლეკო (მცხეთა) — 59.45,0; **ორადგილიანი.** დოროშენკო — კურტანიძე — 54.55,0, სტავრიანიდი — ეზიაშვილი — 58.00,0, ხიზანიშვილი — აგახანოვი — 59.52,0.

ვ. შარვაშიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

მასპინძლოგდნენ განთიადელები

ანგისაში (ხელვაჩაურის რაიონი) „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს სპორტულ ბაზებზე, სადღეს მიმდინარეობდა საქალაქთაშორისო ტურნირი ბალახის ჰოკეიში გოგონათა გუნდებს შორის. მონაწილეობდნენ ბათუმის „განთიადის“, ქუთაისის „ლოკომოტივისა“ და „სპარტაკის“, კრიციელროგის „როდინას“ გუნდები.

ტურნირი, რომელიც სპორტსაზოგადოება „განთიადის“ საოლქო საბჭომ კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან ერთად მოაწყო, [illegible] ეძღვნა პირველი ქართველი მფრინავი ქალის — ფატი გოგატიშვილის ხსოვნას.

ბათუმელმა ჰოკეისტებმა საკმაოდ დამაჯერებლად მოუგეს ქუთაისის „სპარტაკს“ (3:0), „ლოკომოტივს“ (2:0) და შემდეგ კრიციელროგელ ჰოკეისტებს შეხვდნენ.

თამაში საინტერესოდ წარიმართა და დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით. II ადგილი კრიციელროგელებს ხვდათ, III — ქუთაისელ რკინიგზელებს.

ნ. დევაძე.

ბადმინტონი სხვადასხვაგან

სამტრედია

დოსაფის სასროლეთსა და „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩატარდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა მრავალჭიდში. შეჯიბრებაში [illegible] გუნდი მონაწილეობდა.

მრავალჭიდის საფეხურების მიხედვით შედეგების დაჯამებისას 182 ქულით პირველი ადგილი წილად ხვდა კულაშის ტექნიკუმის გუნდს. მეორე ადგილი (166) დაიკავეს დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის წარმომადგენლებმა, მესამე ადგილი (140) კი გომის საბჭოთა მეურნეობის გუნდს ერგო.

საპრიზო ადგილებზე გამოსულ მონაწილეებსა და გუნდებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

* * *

საჭადრაკო კლუბში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ პირველობა რუსულ შაშში, რომელიც სოფლის სპორტსმენთა თამაშების პროგრამაში ჩატარდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 13 გუნდის 42 მოშაშე. ვაჟებში პირველი ადგილი დაიკავა ბ. კამიშევმა, ჭაბუკებში — [illegible] ულრელიძემ, ხოლო ქალებში — დ. ციცაძემ.

ი. ნიკოლეიშვილი.

ჭიდაობა

გაიმართა „კოლმეურნის“ ზუგდიდის რაიონული საბჭოს 1978 წლის პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

წონითი კატეგორიების მიხედვით რაიონის ჩემპიონები გახდნენ: გ. ნანავა, შ. გუნავა, გ. ჯანაშია, ე. ბულია, გ. თოდუა (ყველა — რუხი), დ. ფარჯიანი, ა. სოსელია, კ. ფეტელავა (ზედა ეწერი), ვ. ანთია (ონარია).

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა რუხის საქართველოს სახელობის კოლმეურნეობის მოჭიდავეთა გუნდმა, II ადგილზეა ზედა ეწერის მეურნეობა, მესამეზე ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

ჯ. ფიფია.

ცაგერა გუნდმა იასპარეზა ედანოვში „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პირად-გუნდურ პირველობაში ჭაბუკებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდა საქართველოს „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ნაკრებიც, რომლის შემადგენლობაში 7 თბილისელი და 6 გორელი მოჭიდავე იყო.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ის წარმომადგენლებმა, მეორე იყო უკრაინის კოლექტივი, ხოლო მესამე — საქართველოს გუნდი (მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. გაჩეჩილაძე, სპორტის ოსტატები ნ. სხიერელი და ნ. გაწყვინი).

სხვათა შორის, შარშანდელთან შედარებით ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 5 საფეხურით წინ წაიწიეს.

საქართველოს მოჭიდავეებმა რვა მდენიმე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. 87 კგ წონით კატეგორიაში II ადგილზე გავიდა მ. რევაზიშვილი, ხოლო ჯ. ოლგესაშვილმა (48 კგ) და ზ. ილაშვილმა (68 კგ) III ადგილები დაიკავეს.

ბ. ამირიძე.

სპორტული ჯიჯგნა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „მუშახტე“ (ტყიბული) 0:0. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).

საჩხერელებს მეორე ტაიმში მიეცათ პენალტის დარტყმის უფლება, მაგრამ გაგუამ ვერ გამოიყენა ეს შანსი.

„ნადიკვარი“ (თელავი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 0:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

„კოლხეთი“ (ხობი) — „მზიური“ (გალი) 0:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

„კოლხეთი“ (ფოთი) — „სპარტაკი“ (თბილისი) 2:0. მსაჯი გ. გაბისკირია (ხობში).

სპარტაკელთა კარში ორივე ბურთი გაიტანა ნ. ტყებუჩავამ.

„სქური“ (წალენჯიხა) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 0:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „იბერია“ (ქარელი) 4:1. მსაჯი ნ. ხანიაშვილი (თბილისი).

მიუხედავად სპარტაკელთა უპირატესობისა, ანგარიში გახსნეს სტუმრებმა (გურასპაშვილი). მაგრამ შემდეგ ი. ძაგოევმა ორი ზუსტი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი, ხოლო ვ. ჩოჩიევმა და ა. ქოზაევმა განამტკიცეს ცხინვალელთა გამარჯვება.

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:0. მსაჯი მ. გულისაშვილი (თბილისი).

ცხაკაიელთა კარში ორივე ბურთი გაიტანა ბოლქვაძემ.

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

გუნჯას მიერ გატანილი ბურთი მეორე ტაიმის განახლებისთანავე გაქვითა ზესტაფონელმა გლინიანოვმა, მაგრამ სტუდენტებმა მაინც იმარჯვეს და გაიტანეს გადამწყვეტი გოლი (აკოფიანი).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ივერია“ (ხაშური) 1:0. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

ყვარელი გ. ნერსესაშვილის გოლის გაქვითვას „ივერიის“ ფეხბურთელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ შეძლეს მიზნის მიღწევა.

„მერცხალი“ (მახარაძე) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 4:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

„ხალხინო“ (გეგეჭკორი) — „ახკ (თბილისი) 1:1. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

სტუმრების ტერიტორიულ უპირატესობას მოჰყვა რამიშვილის მიერ გატანილი გოლი. მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა გეგეჭკორელმა დინელიამ აღადგინა თანაფარდობა.

II ჯგუფი

I ზონა

„გარეჯი“ (საგარეჯო) — „გიგანტი“ (გამარჯვება) 3:0, „ვარძია“ (ასპინძა) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:0, „ფიჩხოვანი“ (ახმეტა) — ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) 2:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 3:1, „სიონი“ (ბოლნისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 6:1, „განახლება“ (ადიგენი) — „იორი“ (თიანეთი) 2:3, „არაგვი“ (მცხეთა) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0:0, „აბული“ (ახალქალაქი) — „ცისკარი“ (ციღნარი) 3:0, „თრიალეთი“ (წალკა) — „სამცხე“ (აწყური) 4:0.

II ზონა

„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:0, „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 1:1, „ავტომობილისტი“ (გაგრა) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 1:1, „შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „ნარუჯა“ (მახარაძე) 2:1, „გიგანტი“ (ლაითური) — „სენაკი“ (ცხაკაია) 1:1, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 1:1, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 5:2.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 19 აპრილისთვის

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლხეთი“	ფ.	9	7	1	1	25—5	15
„შუახტე“		8	6	1	1	13—5	13
„კოლხეთი“	ხ.	9	4	5	0	7—1	13
„მერცხალი“		8	4	4	0	13—4	12
„მზიური“		9	4	3	2	13—7	11
„მეტალურ“.	რ.	8	4	2	2	12—7	10
„ჩიხურა“		9	3	4	2	11—8	10
„მაღაროელი“		8	4	1	3	10—9	9
„ივერია“	ხ.	9	4	1	4	7—11	9
„ამირანი“		9	3	3	3	6—12	9
ფიზკ. ინსტ.		9	4	1	4	10—17	9
„სპარტაკი“	ცხ.	9	3	2	4	11—8	8
„სქური“		9	2	4	3	10—10	8
ასკ თბ.		11	1	6	4	8—13	8
„დურუჯი“		8	3	2	3	5—10	8
„ეგრისი“		10	2	4	4	5—12	8
პოლ. ინსტ.		9	3	1	5	11—11	7
„სპარტ“.	თბ.	8	2	3	3	5—8	7
„ენერგეტიკ.“		9	3	1	5	9—13	7
„ხალხინო“		8	1	5	2	8—12	7
„ნადიკვარი“		9	1	4	4	8—11	6
„მეტალურ.“	ზ.	8	1	2	5	11—12	4
„იბერია“	ქ.	9	1	2	6	7—19	4

ასჯერ ერთხელ ბუსკეტი

უხეში თამაშისთვის მიჩდვრიდან გაძევებული არიან ხობელი ს. ბუბუტეიშვილი და გალელი ზ. კვეკვესკირი.

გაფრთხილებულნი არიან: ვ. მაისურაძე („ნადიკვარი“, თელავი), ვ. ლოლაძე და რ. ბადურაშვილი (ორივე — „მაღაროელი“, ჭიათურა), რ. ნიკოლაიშვილი და ე. კაჭარავა (ორივე — „ეგრისი“, ცხაკაია).

ფეხბურთი

დისკვალიფიცირებული არიან...

— საპელაციო ჟიურის მორიგ სხდომაზე გადავწყვიტეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დებულების ერთ-ერთი პუნქტის დარღვევისთვის ხუთი მატჩით მივცეთ დისკვალიფიკაცია ალმა-ათის „ქაირათის“ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელს ს. კამინსკის. — განუცხადა საკადესის კორესპონდენტს საპელაციო ჟიურის თავმჯდომარემ, საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ვ. სოლოვიოვმა. კამინსკის ეკრძალება იმყოფებოდეს სტადიონის სპორტულ სარბიელზე და გასახდელებში იმ უსწლოეს ხუთ მატჩში, რომლებსაც „ქაირათი“ ჩაატარებს. ეს დადგენილება გამოწვეულია იმით, რომ საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში, როცა „ქაირათი“ ეთამაშებოდა „ლოკომოტივს“, კამინსკი შეეჩრა მინდორზე და დავა აუტება არბიტრს.

ამას გარდა, საპელაციო ჟიურიმ, განიხილა ზემოაღნიშნული მატჩის ვიდეოჩანაწერი და გადაწყვიტა დისკვალიფიკაცია მისცეს „ქაირათის“ მოთამაშეებს ორდაბაევსა და ლიხოშერსტნიხს შესაბამისად 3 და 2 მატჩით მაყურებლების, არბიტრებისა და მეტოქეთა მიმართ უწესო საქციელისთვის, როგორც თამაშის მსვლელობაში, ისე მისი დამთავრების შემდეგაც.

— ჟიურიმ, — თქვა სოლოვიოვმა, — გადაწყვიტა, აგრეთვე, გააფრთხილოს ალმა-ათის სტადიონის ადმინისტრაცია, რომ თუ აქ კვლავ დაირღვევა წესრიგი ფეხბურთის მატჩის მსვლელობის დროს, სტადიონს მიეცემა დისკვალიფიკაცია. მსაჯთა საკავშირო კოლეგიამ განიხილა „ქაირათ“ — „ლოკომოტივის“ მატჩის მსაჯობის საკითხი და გადაწყვიტა 1 ივნისამდე აუკრძალოს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისა და თასის მატჩების ჩატარება ამ შეხვედრის არბიტრს, დნეპროპეტროვსკელ ი. ბალიკინს. „ქაირათ“ — „ლოკომოტივის“ მატჩის ჩატარების თამაბაზე გადაცემული არასწორი ინფორმაციისთვის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მატჩების შემდგომი გასინჯვა აუკრძალოს ამ შეხვედრის ინსპექტორ-მსაჯს, ბაქოელ ტ. ბახრამოვს. (საკადესი).

დაცემა და აღზევება რინგის კენიისა

ერთ-ერთი მანევრის დროს ლუისს განზრახვას მივუხვდი. იგი ეპირებოდა კუთხეში შევემწყვდიე, ახლო მანძილზე ბრძოლაში ჩართულიყო და წერტილი დაესვა ბრძოლისათვის. ყველა ღონეს ვხმარობდი, ახლო არ მომეშვა. ბოლოს მაინც ვიმარჯვე და ლუისი ჩემთვის ფრიად მოსასერხებელ დგომში აღმოჩნდა. ეს მოხდა რაუნდის მიწურულს. დოკ კენეის რჩევა გავიხსენე და მოვიგერიე რა რიგითი შეტევა, ძლიერად გავიქნიე მარჯვენა პირდაპირი. მუშტი მთელი ძალით მოხვდა ნიკაპში. ლუისი შეტრტმანდა და ნაბიჯი აერია. აღარ მივეცი ამოსუნთქვის საშუალება, რამდენჯერმე შემოვკარი, ლუისმა ამდენს ვეღარ გაუძლო და იატაკზე დაენარცხა.

დარბაზმა იხუკლა. აგერ ახლახან თავად გავურბოდი ლუისს, ამიტომაც მაყურებელი არ ელოდა ასეთ ვითარებას.

ლუისი იატაკზე იჯდა. ისმოდა ყურთასმენის დამხშობი გნიასი. ისე ღრიალებდა ხალხი, ვეღარც რაუნდის დამთავრების ნიშანი (ზარის ხმა) გავიგეთ, როცა ლუისი ადგა, ჩვენ კვლავ შეეგებით და რეფერი იძულებული გახდა გავეშველებინეთ.

მეხუთე რაუნდამდე ლუისი ცხარედ მიტკეცდა, ფეხდაფეხ მდევდა და ცდილობდა მალე დაესრულებინა ბრძოლა. სახეზე აშკარად ეტყობოდა რისხვა და ბრაზი. მაშინ ვიგრძენი რა ძალა ჰქონდა მის დარტყმებს. თვალი შემიშუპდა, მაგრამ ლუისს უფრო დასივებული ჰქონდა მთელი სახე. როცა რაუნდი დამთავრდა, მას ძალა არ ეყო რინგის კუთხემდე თავისით მისულიყო და სეკუნდანტები მიეშველნენ. ასეთ სავალალო მდგომარეობაში მყოფ ლუისს, მაინც იმდენი ღონე შერჩენოდა მკლავში, ძალუძდა ერთი დარტყმით ნოკაუტით მოეკლა ბრძოლა. ამიტომაც მთელი მეექვსე რაუნდი ყურადღებად ვიქეცი. მეშვიდე რაუნდში ლუისი თითქოს გამოეცოცხლდა და რამდენჯერმე ისე ძლიერ მითავაზა, ვიფიქრე ყველაფერი დამთავრდა-მეთქი.

მერვე რაუნდში კი იგი მოდუნდა, დარტყმის ძალამაც იკლო. მერე კვლავ დავახვედრე მარჯვენა. ახლა კი ცხადი გახდა, გამარჯვება განაღდებული მქონდა. მართალია, ის მაინც მიტევდა, მაგრამ ამჯერად ლუისი ჰაერში უსაზმნოდ იქნევდა ხელებს. ორ ასეთ დარტყმას მაინც წამოვეგე.

შემდგომი ოთხი რაუნდი გაოცებას ვიყავ, სად პოულობდა სიმხნევეს. მაკვირვებდა, როგორღა ახერხებდა განეგრძო ბრძოლა. სხვა ვერავინ გაუძლებდა ასეთ განსაცდელს. ლუისი ფეხზე იდგა მე-12 რაუნდამდე, მაგრამ მას ახლა მოკრივე აღარ ეთქმოდა. ცოცხალ საწვრთნელ ტომრად ქცეულიყო, რომელზეც შემეძლო მეგრტყა, რამდენიც მომესურვებოდა. ლუისი ღებულობდა და ღებულობდა დარტყმებს. ვეღარაფერს ხედავდა ირგვლივ. მაინც არ იქცეოდა და ცდილობდა ეპასუხნა კიდეც. მარჯვენა დავარტყი. ლუისი იატაკიდან მოწყდა და ლამის გაფრინდა ბაწრებისაკენ. ნახტომით მივწვდი და ერთიც მოვუნაცვლე. ლუისი დაეცა.

რეფერი დონოვანმა დაითვალა და წართქვა — „აუტ!“. დადგა ჩემი სახელოვნების წამი. ამერიკაში ისე ვიგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში. ეს იყო ჩემი უდიადესი ბრძოლა“.

პრესისა და მოკრივეთა აზრი

პრესამ სამართლიანად ცნო შმელინგის გამარჯვება. გაზეთები წერდნენ, რომ იგი დიდხანს ემზადებოდა ამ ბრძოლისათვის. გულმოდგინედ ვარჯიშობდა. ცდილობდა გარკვეულიყო ლუისის საბრძოლო თვისებებში. სისტემატურად უყურებდა კინოფირებს, რომლებზეც აღბეჭდილი იყო ლუისის ბრძოლები. შმელინგმა შენიშნა, რომ ლუისი დარტყმის დროს ოდნავ დაბლა სწევდა ხელს, და ასევე ოდნავ მაღლა აქჩონდა ნიკაპი. ეს ძნელად შესამჩნევი ხარვეზიც კი საკმარისი აღმოჩნდა შმელინგისათვის და მან ლუისის სწორედ ამ „აქილევსის ქუსლზე“ ააგო ბრძოლა.

აზრი გამოთქვეს ცნობილმა მოკრივეებმაც, რომლებიც მატჩს ეს წრეგზდნენ.

„ლუისი მოამზადეს ხანმოკლე ბრძოლისათვის, რომელიც მას ჩვეულებისამებრ ელვისებური ნოკაუტით უნდა დამთავრებინა. ბლეკბერნმა, ლუისის მწვრთნელმა ასე გამიზნა მატჩი. პირველსავე ოთხი რაუნდის განმავლობაში ცხადი შეიქმნა, რომ ლუისი უთუოდ წააგებდა. ხანგრძლივი ბრძოლისათვის მას სუნთქვა არ ეყო. ვერც ქულებით მოიგებდა ისეთ ნაცად და მაღალი კლასის მოკრივესთან, როგორიც იყო მაქს შმელინგი. ლუისის ტექნიკა ამ მატჩში მოიკოჭლებდა. მწვრთნელს მსედველობიდან გამორჩა ისიც, რომ შმელინგს უძლიერესი მარჯვენა პირდაპირი ჰქონდა. ლუისმა ვერ აირიდა მეტოქის დამაგვიანებელი დარტყმა. საერთოდ იგი გაათამამა იოლმა გამარჯვებებმა“.

ასე წერდა სახელგანთქმული ჯეკ დემპსი.

„ლუისი კარგაფრით მოგვგო გონს მეორე რაუნდში მიღებული დარტყმის შემდეგ, თუმცაღა უფრო გამოცდილი მოკრივე ათასგვარ საშუალებას გამოძებნიდა, რათა დაესვენა თუნდაც ბრძოლის დროს. ეს კი საკვლევით შესაძლო გახლდათ, რადგან შმელინგი სისწრაფით არ გამოირჩევა. ლუისმა გამოავლინა უჩვეულო ფიზიკური გამძლეობა, მაგრამ ამ მატჩში დაიბნა. თავი ვერ გაართვა შექმნილ ვითარებას. ძალას ცუდად ხარჯავდა, და მაინც, მიუხედავად ასეთი მკაცრი გაკვეთილისა, ივი რჩება უმაღლესი კლასის მოკრივედ“.

ასეთი იყო ცნობილი მოკრივის ჯეიმს ბრედოკის აზრი.

II მატჩი

1938 წელი, 22 ივნისი.

ოთხმოციათასზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი „იანკი-სტადიონზე“. რინგის თავზე ზუსტად რვა საათზე (ნიუ იორკის დროით) აინთო კაკაში ლამპები. მკვდრული სიჩუმე ჩამოდგა.

ფიცარნაგზე პირველი ლუისი ავიდა. თეთრი ხალათი კიდევ მეტად გამოკვეთდა კანის სიმუქეს. სტადიონი ყრუდ მიესალმა მას. შმელინგის გამოჩენისას გაისმა გერმანელთა შეძახილები. მოკრივეები წარუდგინეს მაყურებელს. ამაებისათვის ვისღა სცხელოდა. ხალხი უკვე წარმოსახვით ახდენს ბრძოლას. მისცეს მატჩის დაწყების ნიშანი.

ლუისი მყისვე ეკვეთა მეტოქეს. დარტყმები მიაყარა, შმელინგმა ერთი ისღა მოასწრო, მარცხენა ჰუკი მოიქნია, მაგრამ ლუისს მხოლოდ ოდნავ მისწვდა ეს დარტყმა. ლუისი უწყალოდ უტევს მეტოქეს. ისე სწრაფად უშენს მუშტებს, მოგერიება შეუძლებელია.

სამჯერ ენარცხება იატაკს შმელინგი, მაგრამ მაინც ჯიუტად დგება და მოწინააღმდეგისაკენ მიიწევს. როცა მესამედ ადგა, ისე ბარბაცებდა, მთვრალი გეგონებოდათ. ლუისმა ერთხელაც გაიქნია ხელი. გერმანელი კვლავ დაემხო. რინგზე პირსასოცი გადმოაგდეს. რეფერიმ ფეხით მოიშორა და განაგრძო თვლა. ძირს განრთხმული შმელინგი რამდენჯერმე დაიგრიხა. „რვა... ცხრა... აუტ“!

იგრიალა სტადიონმა. ხალხი წამოიშალა. ერთმანეთს ეხვეოდნენ. ქუდებს მაღლა ისროდნენ.

ზუსტად ორ წუთსა და ოთხ წამში უზღო მეტოქეს ამდენი ხნის ნანატრი სამაგიერი სახელოვანმა მოკრივემ, რათა კვლავ განაგრძო ტრიუმფალური გზა.

* * *

სურათებზე: ლუისი და შმელინგი რინგზე გასვლის წინ, საკონტროლო სასწორთან (მარცხნივ); მეორე ორთაბრძოლის ფინალი — შმელინგი ნოკაუტშია.





დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 75.

მეტოქეები ცნობილია

რომი. აქ გაიმართა ფრენბურთში 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატების ქვეჯგუფების კენჭისყრა. ქალთა ჩემპიონატი სსრ კავშირში აგვისტო-სექტემბერში ჩატარდება, ხოლო ვაჟთა — იტალიაში, სექტემბერ-ოქტომბერში.

ორივე ტურნირში 24 ქვეყნის გუნდები დაყოფილია 6 ქვეჯგუფად (4-4 თითოეულში). ქვეჯგუფებში თამაში წრიული სისტემით ჩატარდება. ორ-ორი უძლიერესი გუნდი ნახევარფინალში გავა.

მოგვყავს ქვეჯგუფების შემადგენლობა.

ფრენბურთი

ქალთა ჩემპიონატში:

1. სსრ კავშირი, ბულგარეთი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, დომინიკანელთა რესპუბლიკა.
2. იაპონია, ტუნისი, აშშ, იტალია.
3. სამხრეთ კორეა, კანადა, გფრ, ბრაზილია.
4. გდრ, მექსიკა, ჩეხოსლოვაკია, ეგვიპტე.
5. უნგრეთი, პოლონეთი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ჩილი.
6. იუგოსლავია, ჰოლანდია, პერუ, კუბა.

ვაჟთა ჩემპიონატში:

1. იტალია, ბელგია, პუერტორიკო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.
2. პოლონეთი, მექსიკა, ფინეთი, ვენესუელა.
3. სსრ კავშირი, ბრაზილია, საფრანგეთი, ტუნისი.
4. იაპონია, კუბა, არგენტინა, უნგრეთი.
5. გდრ, ბულგარეთი, კანადა, ეგვიპტე.
6. ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, სამხრეთ კორეა, აშშ.

(საკადესი).

კალათბურთი პატარებისთვის

მინი-კალათბურთი არის კალათბურთი პატარებისთვის. მას თამაშობენ ორი ასაკობრივი ჯგუფის 8-10 და 11-12 წლის ბავშვები. სპორტის ამ სახეობას სათავეში უდგას კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის კომიტეტი, რომელიც 1968 წელს დაარსდა. ეროვნულ ფედერაციებში მინი-კალათბურთისადმი ხელმძღვანელობას სპეციალური კომისიები ახორციელებენ.

საერთაშორისო კომიტეტის მიერ დამუშავებული წესები არ ითვალისწინებს პრინციპულ განსხვავებას მინი-კალათბურთსა და მოზარდთა კალათბურთს შორის. მიუხედავად ამისა, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და ბულგარეთი) ბავშვები შემცირებული ზომის მოედნებზე (18×12 მ) თამაშობენ. ბურთის წონა 450-500 გრამია, გარშემოწერილობა — 60-73 სანტიმეტრამდე. შედარებისთვის ვიტყვით, რომ უფროსები ასპარეზობენ მოედნებზე, რომლის ზომა 26×14 მეტრია, ბურთის წონა — 600-650 გრ, კალათი კი მოთავსებულია 305 სმ სიმაღლეზე.

ბავშვები ოთხ ექვსწუთიან პერიოდს (ტაიმს) თამაშობენ, პირველსა და მეორე პერიოდს შორის შესვენება 5 წუთია და მას პირველი ნახევარი ეწოდება. იგივე დროს ანდომებენ მესამე და მეოთხე პერიოდსაც. პირველ და მეორე ნახევარს შორის შესვენება 10 წუთია.

თითოეულ გუნდში 11 მოთამაშეა (აქედან ერთი სათადარიგო), მათგან 5-5 ბავშვი თამაშობს. მაგალითად, პირველი ხუთეული პირველ 6 წუთს თამაშობს, მეორე ხუთეული მეორე 6 წუთს და ა. შ. თითოეული კალათბურთელის ნათამაშევი დრო 12 წუთს უნდა შეადგენდეს. თამაშიდან გამოსული კალათბურთელის კვლავ მოედანზე დაბრუნება აკრძალულია. მწვრთნელს უფლება აქვს ოთხივე პერიოდში ისარგებლოს თითო წუთშესვენებით და შეცვალოს სათადარიგო მოთამაშით მხოლოდ ტრავმირებული ან 5 პერსონალური ჯარიმის შედეგად მოედნიდან გასული კალათბურთელი.

შეჯიბრებას 16 წლის ასაკამდე ბავშვები მსჯობენ.

მინი-კალათბურთს ჩვენს ქვეყანაში, და კერძოდ საქართველოში, 20 წლის ისტორია აქვს. მისი დანერგვა და განვითარება საქართველოში დაკავშირებულია ჩვენი სახელოვანი კალათბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ო. ქორქიას სახელთან, რომელმაც 20 წლის წინათ „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდის შევსების მიზნით ბავშვთა ჯგუფები ჩამოაყალიბა. ამან კარგი ნაყოფი გამოიღო, ოთარ ქორქია დღესაც არ ღალატობს წამოწყებულ საქმეს და რესპუბლიკაში ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის ერთადერთ სპეციალიზებულ სპორტსკოლას ხელმძღვანელობს.

ბავშვთა ჯგუფები დიდი კალათბურთის მთავარ მასაზრდოებელ ძალას წარმოადგენენ, მათ გარეშე წარმოუდგენელია დიდი კალათბურთი.

ამჟამად „ფიბა“ მინი-კალათბურთელთა სტატისტიკურ შეჯიბრებებს აანალიზებს მსოფლიო ჩემპიონატებსა და ევროპის ჩემპიონატებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

ბ. ჩუბინიძე,
თბილისის განათლების განყოფილების მინიკალათბურთელთა მწვრთნელი.

უცხოური მოზაიკა

ამერიკელმა სპორტსმენმა ჯაკ ტალომ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი დარბაზებისთვის ჭოკით ხტომაში. მისი შედეგია 562 სმ.

1978 წელს სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიო თასების მფლობელები გახდნენ ლიხტენშტეინელი ჰანი ვენცელი (მარცხნივ) და შვედი ინგემარ სტენმარკი.



საათში 100 კმ-მდე სიჩქარის განვითარება შეიძლება დასავლეთ გერმანიის ქალაქ კილში დამზადებული უჩვეულო „სახმელეთო“ იახტით.

საკდესის ფოტოები.

იტალია

25-ე ტურში გაიმართა II წრის ცენტრალური მატჩი. ტურნირში ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონი — „იუვენტუსი“ და ექს-ჩემპიონი — „ტორინო“. ანგარიში არ გახსნილა — 0:0. ეს შედეგი მხოლოდ „იუვენტუსს“ აძლევდა ხელს, რომელმაც 37 ქულა მოაგროვა და ჩემპიონის წოდების შენარჩუნების კარგი შესაძლებლობა აქვს.

ცხარე ბრძოლაა მეორე ადგილისთვის. 33-33 ქულა მოაგროვეს „მილანმა“, „ტორინომ“ და „ლანეროსიმ“ (ვიჩენცა). მათს დაკაში შეიძლება ჩაგრიოს „ინტერიც“ (30 ქულა). სხვა გუნდები საგრძნობლად ჩამორჩნენ.

პირველ ლიგას გამოეთხოვება „პესკარა“ (15 ქულა).

შვეიცარია

პირველი ლიგის 12 მონაწილე 2 ჯგუფად გაიყო. პირველი 6 ჩემპიონობისთვის იბრძვის, დანარჩენი 6 კი პირველ ლიგაში თამაშის უფლების შესანარჩუნებლად.

პირველ ექვსეულში არიან „გრასჰოპერსი“ (ციურიხი), „სერვეტი“ (ჟენევა), „ლოზანა სპორტი“, „ბაზელი“, „ფკ ციურიხი“ და „ფკ სიონი“.

ტურის შედეგები ასეთია: „ციურიხი“ — „სერვეტი“ 0:0, „სიონი“ — „გრასჰოპერსი“ 1:1, „ლოზანა სპორტი“ — „ბაზელი“ 1:1.

18 ქულით პირველ ადგილზეა „გრასჰოპერსი“.

კვლავ ტრავმები

ესპანეთის ნაკრების რიგებს, რომელიც არგენტინის ჩემპიონატისთვის ემზადება, ტრავმების გამო გამოაკლდა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი — ლეანი, კანო, ხუანიტო, დელ ბისკეე, კამაჩო და მეკარე არკონადა, თუმცა მწვრთნელისა და ექიმის აზრით ისინი მალე კვლავ ჩადგებიან რიგებში.

ავარია მარ-დელ-პლატას სტადიონზე

გასულ კვირას მარ-დელ-პლატას ცენტრალურ სტადიონზე მოხდა ავარია, რის შედეგადაც ჩაინგრა მიწისქვეშა მშენებარე გასასვლელი, რომელიც გასახდელს აკავშირებს მწვანე მინდორთან. ერთი მუშა ავარიის შედეგად მძიმედ დაშავდა (როგორც ცნობილია ამ სტადიონზე დაგეგმილია ჩემპიონატის 6 მატჩი).

ჩემპიონატები, ჯვრები, სიდიდეები

ინგლისი

ის, რასაც ინგლისის ჩემპიონატში „ნოტინგემ ფორესტი“ აკეთებს, საერთო გაოცებას იწვევს: უკვე ზედიზედ 17 მატჩს გუნდი წაუგებლად თამაშობს.

რომელი ტური გათამაშდა ინგლისში? ძალზე ძნელი სათქმელია. არიან გუნდები, რომლებმაც 37 მატჩი ჩაატარეს, ზოგს კი სულ 33 შეხვედრა აქვს გამართული. ეს უამინდობის გამოა.

ჩემპიონობის მოპოვების საუკეთესო შესაძლებლობა გააჩნია „ნოტინგემ ფორესტს“, რომელიც ამ სეზონში დაბრუნდა პირველ ლიგაში. „ჩელსისთან“ საკუთარ მინდორზე ანგარიშით 3:1 გამარჯვების შემდეგ გუნდს 33 შეხვედრიდან 52 ქულა აქვს. 36 თამაშიდან 50 ქულით მეორე ადგილზეა „ეფერტონი“, მესამეზე — 36 თამაშიდან 46 ქულით „ლონდონის „არსენალი“.

ორი გუნდი — „ნიუკასლ იუნაიტედი“ და „ლეისტერ სიტი“ უკვე განწირულია მეორე ლიგაში გადასასვლელად. ვინ იქნება მესამე, ჯერ-ჯერობით ნათელი არაა.

სნაიპერთა შორის 26 ბურთით პირველ ადგილზეა ლეჩფორდი („ეფერტონი“).

ევროპის ჩემპიონის დამარცხება

გუდაკეშტი. „ნეპშტადიონის“ სარბიელზე უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 2:1 მოუგო ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ევროპის ჩემპიონს — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს. გამარჯვებულთაგან ორივე ბურთი გაიტანა ნილაშმ, ხოლო სპასუხო გოლი — კროუპამ.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: **უნგრეთი** — გუდარი, ტერეკი (მარტოში), კოჩიში, კერეკი, ტოტი, ნილაში, პინტერი, ზომბორი, ფაზეკაში (ხალაში), ტერეჩკი, ვარადი (ნადი); **ჩეხოსლოვაკია** — ნეტოლიჩკა, დობიაში, ბარმოში, ფიალა, გეგი (სმეკი), ბილსკი, პანენკა (კოზაკი), იარუშეკი, იანეჩკა (მასნი), კროუპა, ნეხოდა.

უნგრელი ფეხბურთელები მალე რამდენიმე საწვრთნელ მატჩს ჩაატარებენ საზღვარგარეთ. 11 ოქტომბერს „ნეპშტადიონზე“ დაგეგმილია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

საბერძნეთი

ათენის აეკ-ს საბერძნეთის ჩემპიონის წოდების მოპოვებამდე ბევრი აღარაფერი უკლია. ახლა მას 28 თამაშიდან 45 ქულა აქვს. 39 ქულა მოაგროვა პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“, ათენის „პანათინაიკოსსა“ და სალონიკის პაოკ-ს 37 ქულა აქვს თითოეულს. სხვა გუნდები საგრძნობლად ჩამორჩნენ.

გფრ

ფინიშის წინ პირველ ადგილზე გასვლის რეალურ შესაძლებლობას მხოლოდ 2 გუნდი ინარჩუნებს: „კიოლნი“ და შარშანდელი ჩემპიონი „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი).

31-ე ტურში „კიოლნი“ საკუთარ მინდორზე შეხვდა „აინტრაჰტს“ (მაინის ფრანკფურტი) მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც სტუმრების თავდამსხმელმა ჰოლცენბაინმა გაიტანა. ეს წაგება „კიოლნს“ ძვირად დაუჯდა, ვინაიდან „ბორუსიამ“ (მიონხენგლადბახი) სტუმრად შეძლო „საარბრიუკენთან“ მოგება და დაეწია „კიოლნს“. ორივეს 31 თამაშის შემდეგ 42-42 ქულა გაუსდა.

მესამე ადგილზეა დასავლეთ ბერლინის „ჰერტა“, რომელმაც სტუმრად ფრედ (1:1) ითამაშა ბრაუნშვაიგის „აინტრაჰტთან“ და 37 ქულა მოაგროვა.

ორი გუნდი — ჰამბურგის „სტ პაული“ (18 ქულა) და „მიუნხენ 1860“ (19) ფაქტიურად უკვე გამოეთხოვა ბუნდესლიგას. რეალური საფრთხე ემუქრება „საარბრიუკენსაც“ (21 ქულა).

სნაიპერთა შორის 23-23 ბურთით I-II ადგილებს იყოფენ ძველი მეტოქეები გ. მიულერი („ბაიერნი“) და დ. მიულერი („კიოლნი“).



ნაპინძელთა აშკარა უპირატესობით

ამას წინათ ლენინგრადში გამართულ სსრ კავშირისა და გდრ-ის მოცურავეთა სამატჩო შეხვედრაში საბჭოთა სპორტსმენებმა გუნდურ შეჯიბრებაში დამაჯერებელი გამარჯვება იზიმეს. ამას გარდა, მათ ჩვენი ქვეყნის თერთმეტი, თითო ევროპისა და მსოფლიო რეკორდები დაამყარეს. მოსალოდნელი იყო, რომ საბჭოთა მოცურავეები მძაფრ წინააღმდეგობას გაუწევდნენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდს — აშშ-ის ნაკრებსაც.

ამ ქვეყნების წარმომადგენელთა სამატჩო შეხვედრა აშშ-ის ქალაქ ოსტინში გაიმართა. სამწუხაროდ, საბჭოთა სპორტსმენები პროგრამის ყველა სახეობაში დამარცხდნენ. ორი წლის განმავლობაში პირველი მარცხი იწვნია 13 წლის ლენინგრადელმა მოსწავლემ, მსოფლიო რეკორდსმენმა ი. ბოგდანოვამ. 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში მას მწვავე ბრძოლაში აჯობა 15 წლის მასპინძელმა ტ. კოლკინსმა — 1.09,16. ბოგდანოვას შედეგია 1.09,58.

ვაქების შორის პროგრამის ამავე სახეობაში საუკეთესო იყო ამერიკელი ს. სპენნი — 2.13,87. საბჭოთა მოცურავემ ვ. ტარასოვმა მეორე შედეგი აჩვენა — 2.14,86.

პროგრამის დანარჩენ სახეობებში აშკარა იყო მასპინძელთა უპირატესობა, რომლებმაც მსოფლიო მიღწევებს გადააჭარბეს, მაგრამ ეს რეკორდები არ დამტკიცდება, ვინაიდან ისინი 25-მეტრიან აუზში დამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების მოცურავეთა პირველი შეხვედრა შარშან სექტემბერში ლენინგრადში გაიმართა. მაშინ საბჭოთა სპორტსმენებმა, მართალია, გუნდური პირველობა დამეს, მაგრამ პროგრამის 6 სახეობაში მაინც ისახელეს თავი.

სპეციალისტთა აზრით, წლეულს საბჭოთა მოცურავეებმა აკლიმატიზაცია ვერ მოასწრეს.



ფეხბურთი. საკავშირო პირველობა ჭაბუკთა შორის, საქართველოს ზონა. 19 აპრილი. „ავაზას“ სტადიონი. „ავაზა“ (თბილისი) — „განთიადი“ (თბილისი). დასაწყისი 16 ს. „დინამოს“ ბაზა. დიდომში. „დინამო“ (თბილისი) — „ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი). 16 ს.



ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში გაიმართა წლევანდელი ზამთრის უკანასკნელი შეჯიბრებები, საერთაშორისო ტურნირები, ქვეყნის ჩემპიონატები.

აპატიტის მიდამოებში მოთხილამურე ქალები 30 კილომეტრზე დარბოდნენ. ოქროს მედალი წილად ხვდა ნ. როჩევას („დინამო“) — 1:35.28. სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კულაკოვა („ტრუდი“) მას 10 წამით ჩამორჩა და ვერცხლის მედალს დაჯერდა. ბრინჯაო ერგო გ. იურასოვას („დინამო“) — 1:35.59. აღსანიშნავია, რომ სამივე პრიზიორმა ბრწყინვალედ იასპარეზა — მათი მაჩვენებლები ბევრ ოსტატ ვაჟსაც შეშურდება.

ვაქები მარათონულ დისტანციებზე — 70 კილომეტრზე რბოლაში ჩემპიონატის მედლებისთვის **კანდალაკშას** მიდამოებში იბრძოდნენ. დიდხანს ლიდერობდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ი. გარანინი (რუდნი) — ფინიშამდე რამდენიმე ასეულ მეტრში მას გაუსწრო უფელმა რ. იუნუსოვმა, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა — 3:57,24. გარანინი მას 26 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილზეა სსრ კავშირის ნაკრების წევრი, ლენინგრადელი ვ. ბელიაევი — 3:58.11. სწორედ იმ დღეს მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

მურმანსკში გაიმართა ჩემპიონატი „საპატრულო რბოლაში“. უძლიერესი აღმოჩნდა „ტრუდის“ ნაკრები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი ბიატლონისტები ა. ელიზაროვი, ა. სუსლოვი, ა. გრუშევსკი, ა. კუბასოვი და ვ. ზირიანოვი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, **თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02053